## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №36

ქ. ახმეტა. „18 „IX" 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ახმეტის N01 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით და მეორეს მხრივ,ი/მ ანა მაგრაქველიძე (შემდგომში - მიმწოდებელი), ს/კ60001144331,მის: ქ. თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ, კორპ. 18, ბინა 29 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1მათემატიკის საინფორმაციო ფურცლები (პლაკატები), დაწყებითი კლასებისათვის, (CPV22140000) შესყიდვა ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარი რომელიც მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელისა და გადასახადის ჩათვლით.

### 3. ანგარიშსწორებისფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის ელ.ანგარიშფაქტურისა (სასაქონლო ზედნადებისა) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ქალაქ ახმეტის N01 საჯარო სკოლა
4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდებისადგილია: ქალაქ ახმეტის N01 საჯარო სკოლა.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 10 (ათი)სამუშაო დღის განმავლობაში.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
ა) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.
ბ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლაშემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;
6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.5. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებელებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

### 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ისოდენობით.

7.2.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულებისშეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამურიღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორემხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ, არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე, წერილობითან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

### 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი და უძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნული სარსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ვადა ხელშეკრულება ძალაშია დღიდან ხელისმოწერისა და მოქმედებს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

შემსყიდველი:
სსიპ ქალაქ ახმეტის №1 საჯარო სკოლა
მის: ქ. ახმეტა ხოლოყაშვილის ქ.56
ს/კ 224628062
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE23LB0121116354920000

სკოლის დირექტორის
ნ. [signature]

მიმწოდებელი:
ი/მ „ანა მაგრაქველიძე"
მის. თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ, კორპ. 18, ბ. 29
ს/კ 60001144331
საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: ს/ს„ლიბერთიბანკი"
ბანკისკოდი: LBRTGE22
ა/ა GE18LB0112111042345000

ა. მაგრაქველიძე
[signature]